საქართველოს კანონი

მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს მოსაკრებლების სისტემის ზოგად პრინციპებს. მისი ამოცანაა ჩამოაყალიბოს საერთო პოლიტიკა იმ გადასახდელების მიმართ, რომლებიც გადაიხდევინება სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სასამართლო დაწესებულებების მიერ მომსახურების გაწევისა და კანონით განსაზღვრული უფლებების მინიჭებისათვის. *(24.09.2009 N 1700)*

მუხლი 1. მოსაკრებლის ცნება *(23.12.2011 N 5601)*

მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები და ამხანაგობები იხდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

მუხლი 2. მოსაკრებლების სისტემა

მოსაკრებლების სისტემა მოიცავს ამ კანონით გათვალისწინებული მოსაკრებლების (მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების) გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას.

მუხლი 3. მოსაკრებლების დაწესება და გადახდევინება

1. საქართველოში მოსაკრებლების სტრუქტურას, ოდენობასა და შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

2. მოსაკრებლების გადამხდელი ფიზიკური და იურიდიული პირები და ამხანაგობები ვალდებული არიან გადაიხადონ ამ კანონით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მოსაკრებლები. *(23.12.2011 N 5601)*

3. დაუშვებელია ამ კანონით გაუთვალისწინებელი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ მხოლოდ საქართველოს შესაბამისი კანონით დაწესებული ადგილობრივი მოსაკრებლები. *(24.09.2009 N 1700)*

მუხლი 3^1. მოსაკრებლის გადახდის წესი *(17.07.2009 N 1531)*

1. მოსაკრებლის გადამხდელის მიერ მოსაკრებელი გადახდილად ითვლება, თუ მოსაკრებლის მიმღებ ორგანოში წარდგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით დადგენილი საბუთი ან/და დოკუმენტი. ამასთანავე, მოსაკრებლის გადახდის დადასტურება შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით დადგენილი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) საბუთის ან/და დოკუმენტის მიმართ მოთხოვნებს, მისი წარდგენის წესს და მიღების ან/და აღიარების პროცედურებს ადგენს

საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 4. კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ

1. კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ შედგება ამ კანონისაგან, მის შესაბამისად მიღებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. 2. მოსაკრებლების შესახებ კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონს.

3. მოსაკრებლების თაობაზე კანონების დებულებებსა და კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის მოსაკრებლების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების კოლიზიის საკითხებზე წარმოშობისას, გამოიყენება მოსაკრებლების შესახებ კანონები.

4. აკრძალულია მოსაკრებლების დაკავშირებული საკითხების მოსაკრებლების შესახებ კანონმდებლობის გარდა სხვა კანონმდებლობით მოწესრიგება.

მუხლი 5. მოსაკრებლის სახეები

1. შემოღების წესის მიხედვით მოსაკრებლები არის საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი. *(8.06.2007 N 4926)*

2. საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებია: *(8.06.2007 N 4926)*

ა) **ამოღებულია** *(12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.)*

ბ) სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილობრივი მოსაკრებლებისა);

გ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი;

დ) სარეგისტრაციო მოსაკრებელი;

ე) სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი;

ვ) სახელმწიფო ბაჟი;

ზ) საკონსულო მოსაკრებელი;

თ) **ამოღებულია** *(1.12.2009 N 2208 ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან (21.07.2010 N 3546))*

ი) **ამოღებულია** *(15.07.2008 N 220 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)*

კ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი;

ლ) ამოღებულია *(29.06.2007 N5134)*

მ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი;

ნ) საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი.

ო) **ამოღებულია** *(3.11.2009 N 1937 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

3. ადგილობრივი მოსაკრებლებია: *(8.06.2007 N 4926)*

ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი;

ბ) ამოღებულია (28.10.2010. N3775)

გ) **ამოღებულია** *(1.12.2009 N 2208 ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან (21.07.2010 N 3546))*

დ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;

ე) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;

ვ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი.

ზ) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი. *(8.06.2007 N 4928)*

თ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი. *(24.11.2011 N 5297)*

ი) მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი. *(22.06.2012 N 6542)*

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სარეგისტრაციო და სახელმწიფოს საექსპერტიზო

მოსაკრებლები არ ვრცელდება:

ა) „საქპატენტის“ მიერ სამრეწველო საკუთრების დასაცავად გაწეულ საქმიანობაზე;

ბ) „საქჯიშცენტრის“ მიერ მცენარეთა ჯიშებზე სელექციონერთა უფლებების დასაცავად გაწეულ საქმიანობაზე. *(საქართველოს 02.03.2001 N746 კანონი)*

მუხლი 6. მოსაკრებლის გადამხდელები *(23.12.2011 N 5601)*

მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები და ამხანაგობები, რომლებსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ანიჭებენ კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლებას, აგრეთვე რომელთაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უწევენ გარკვეულ მომსახურებას.

მუხლი 7. მოსაკრებლების განაკვეთის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები

1. მოსაკრებლების განაკვეთები მათ ცალკეულ სახეობებზე წესდება ამ კანონის შესაბამისად მიღებული კანონებით და განისაზღვრება შემდეგი პრინციპებით:

ა) სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებაზე ან/და უფლების მინიჭებაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურების გათვალისწინებით; *(24.09.2009 N 1700)*

ბ. განსაკუთრებულ შემთხვევებში სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური (მათ შორის მოსალოდნელი შემოსავლების შეფასების გათვალისწინებით) ინტერესებიდან გამომდინარე.

2. მოსაკრებლები წესდება ლარებში ან ფარდობით სიდიდეებში.

მუხლი 8. მოსაკრებლებისაგან მიღებული შემოსავლების განაწილება ბიუჯეტებს შორის *(23.12.2011 N 5601)*

მოსაკრებლების ბიუჯეტებში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. გარდამავალი დებულება

ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არჩეულნი არ არიან წარმომადგენლობითი ორგანოები, მათ არჩევამდე, ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ კანონით დაწესებული მოსაკრებლების შემოღების უფლება ეძლევათ "საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 29 მაისის დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებს.

მუხლი 10. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე.*

თბილისი,
1998 წლის 6 თებერვალი.
N 1221-IIს